



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 88

2019 წლის 31 ივლისი

ქ. თბილისი

**ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2019 წლის კონკურსის
ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ**

“ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „2019 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 4 ივნისის N67 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ზ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 30 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N1000801) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2019 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია